



ავტომობილის დაზღვევის
პირობები (ხელშეკრულება)

TERMS AND CONDITIONS OF
MOTOR TRANSPORT INSURANCE

WWW.UNISON.GE



ჩვენ ვზრუნავთ ყველაფერზე, რაც შენთვის მნიშვნელოვანია

WE TAKE CARE OF EVERYTHING THAT'S IMPORTANT TO YOU

დეპონირებული
ხელშეკრულების #251656065

ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ძალაშია მზღვეველის მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისთან ერთად, რომელშიც ასახულია შეძენილი პროდუქტის მახასიათებლები და სხვა სპეციალური დათქმები. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამავდროულად, დაზღვევის განაცხადს, წინამდებარე პირობებსა და პოლისით დადგენილ პირობებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება დაზღვევის პოლისს.

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
1	ხელშეკრულების მხარეები:	მზღვეველი: სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ (ს/ნ 404393152) დამზღვევი: ფიზიკური ან იურიდიული პირი (რომელმაც დადო წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან და რომელსაც ეკისრება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება).
2	ხელშეკრულების საგანი:	წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველის ვალდებულება, ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი, წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესის და ოდენობის შესაბამისად.
3	ტერმინთა განმარტება:	დაზღვეული: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა; მოსარგებლე: ანაზღაურების მიღებაზე პოლისით- განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	მომენტში უნდა გააჩნდეს დაზღვევის ობიექტის მიმართ ფინანსური ინტერესი; სადაზღვევო პოლისი (პოლისი): მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სადაზღვევო დაფარვის დეტალები, თან ერთვის ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს; დაზღვევის ობიექტი: სადაზღვევო პოლისისა და განაცხადში მითითებული ავტოტრანსპორტი, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებას ან მართლობიერი მფლობელობის საგანს; სადაზღვევო რისკი: სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა; ავტოსაგზაო შემთხვევა: კომპეტენტური ორგანოს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს) შესაბამისი ცნობით დადასტურებული საგზაოსატრანსპორტო შემთხვევა: დაზღვეული ავტომანქანის შეჯახება, გადაბრუნება-გადატრიალება, სავალი გზიდან გადავარდნა. საავტომობილო გზა: ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი გზის ან ქუჩის ზედაპირი, მათ შორის ტრამვაის ლიანდაგი, ტროტუარი, გვერდულა, გამყოფი ზოლი, ველობილიკი; ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობა: დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისა ან/და ექსპლუატაციისთვის გამოუსა-

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	დეგარი მდგომარეობა ან/და მისი ნებისმიერი სისტემის მათ შორის ელექტროსადენების ან/და მოწყობილობების მუხრუჭების, უსაფრთხოების ბალიშების, გაზის აპარატურის ან/და სისტემის, წვის სისტემის, სავალი ნაწილის და ძირითადი კვანძების (ძრავა გადაცემათა კოლოფი, გადაბმულობა) გაუმართაობა რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს დაზღვეული რისკის დადგომა; სადაზღვევო შემთხვევა: წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ფაქტობრივი ზიანი, რომელიც წარმოშობს მზღვევლის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას; სადაზღვევო პერიოდი: სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია; დაზღვევის ტერიტორია: სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებში მოქმედებს დაზღვევა; უფლებამოსილი მძღოლი: სადაზღვევო პოლისსა და განაცხადში მითითებული, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის უფლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა; მძღოლის ასაკისა და მართვის გამოცდილებასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში. მესამე პირი: ნებისმიერი ფიზიკური ან

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	იურიდიული პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიაღდა ზიანი დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მგზავრებისა და/ან უფლებამოსილი მძღოლის/დამზღვევის/მოსარგებლის/ავტოტრანსპორტის მესაკუთრის და/ან მათი ოჯახის წევრებისა; ოჯახის წევრი: დამზღვევის/დაზღვეულის, მოსარგებლის, უფლებამოსილი მძღოლის მეუღლე, შვილები, გერები, მშობლები, დედინაცვალი, მამინაცვალი, მშვილებელი, მეურვე მზრუნველი, და/ძმა; სადაზღვევო განაცხადი: მზღვევლის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები/შევისებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ობიექტის, უფლებამოსილი მძღოლის/მძღოლების და რისკის შეფასებისთვის საჭირო სხვა გარემოებების შესახებ. განაცხადი ივსება სადაზღვევო პოლისის გაცემამდე და წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას; შემთხვევის განაცხადი: შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მზღვევლის მიერ დადგენილი ფორმით შესავსები/შევისებული წერილობითი განაცხადი; საბაზრო ღირებულება: დაზღვეული ობიექტის იდენტური ან მსგავსი ქონების, სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც დგინდება ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე. წყაროდ შესაძლოა გამოყენებულ იქნას: საქართველოს

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის ელექტრონული პლატფორმები. სადაზღვევო თანხა: არაუმეტეს დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულება ან მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი დაზღვევის მიმართულებების (მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა / მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა) მიხედვით და რომელიც მცირდება გაცემული ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით; მცირე სადაზღვევო შემთხვევა: წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი, სადაც არ ფიგურირებს და/ან არ ხდება მესამე პირის და/ან მისი ქონების იდენტიფიკაცია, არის მცირე გარეგანი დაზიანება (გახაზვა, მინის გაბზარვა-ჩამტვრევა, საგნის დაცემა, ბორდიურზე შეჭახება, შეჭახება ხესთან და სხვადასხვა საგანზე); პროპორციული დაზღვევა: დაზღვევა, როდესაც მზღვეველი აანაზღაურებს ზიანის ნაწილს იმ პროპორციით რა პროპორციაც იარსებებდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტი-სათვის, სადაზღვევო თანხასა და ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას შორის; ფრანშიზა: ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება; სადაზღვევო პრემია (პრემია): დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	გამომუშავებული სადაზღვევო პრემია: სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა; გამომუშავებული სადაზღვევო პრემია: სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა; ავტოტრანსპორტის სრული განადგურება: ავტოსატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან დაზიანებულია ავტოტრანსპორტის 70% ან მეტი; სადაზღვევო ანაზღაურება: თანხა, ქონება ან მომსახურება რომელსაც გასცემს მზღვეველი დამზღვევზე/ დაზღვეულზე/ მოსარგებლებზე სადაზღვევო ანაზღაურების სახით; მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობა: სადაზღვევო პოლისით დაფარული და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიაღწა უფლებამოსილი მძღოლის მიერ პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და/ან ქონებას; მძღოლისა და მგზავრების სიცოცხლესა და

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	ან ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი: სადაზღვევო პოლისით დაფარული და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიაღება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრ(ებ)ის პირის სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობას; ორმაგი დაზღვევა: თუ დაზღვეული, დაზღვევის ამ სახეობაში წარმოადგენს სხვა, ერთი ან რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის მოსარგებლეს, მაშინ ზარალი ანაზღაურდება მზღვევლებს შორის სოლიდარულად, რაშიც სს სადაზღვევო კომპანია უნისონი მონაწილეობას მიიღებს მისი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად, იმ დაშვებით, რომ საერთო სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს რეალურ ზიანს; ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალური რეპორტი (CDR - Crash Data Retrieval Report): ავტოტრანსპორტის შეჯახების შესაბამისი ანგარიში, რომელიც ინახება ავტომობილის „შავ ყუთში“ და რომლის ამოღება/ინფორმაციის მიღება ხდება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით; არაქარხნული დეტალი: ავტოტრანსპორტის ნებისმიერი ნაწილი, დეტალი თუ აქსესუარი (მათ შორის, სანომრე ნიშნები), რომელიც არ ფიქსირდება ავტომობილის კომპლექტაციაში საიდენტიფიკაციო (VIN)/შასის ნომრის შესაბამისად; ხელშეკრულების თავსართი: დოკუმენტი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
3	ტერმინთა განმარტება:	სხვა დებულებას, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში აღნიშნულია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები; საინფორმაციო ფურცელი: სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკური პირი მომხმარებლისთვის სავალდებულოდ მისაწოდებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მითითებას სადაზღვევო პროდუქტის პირობების შესახებ; დისტანციურად დადებული ხელშეკრულება: დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველმა და დამზღვევს შორის, მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.
4	სადაზღვევო დაფარვა:	ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა (CASCO)
5	სადაზღვევო რისკები:	დაზღვეული რისკები (CASCO): 5.1. ხანძარი; აფეთქება; მეხის დაცემა; 5.2. ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა; მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 5.3 ავტოსაგზაო შემთხვევა; 5.4 ცხოველთან შეჯახება ან ცხოველით ან ფრინველით გარეგანი დაზიანება; 5.5 სტიქიური მოვლენები, სეტყვის ჩათვლით; 5.6 საგნის დაცემა, მათ შორის, ანასხლეტი კენჭით საქარე მინის დაზიანება; შენიშვნა: კონკრეტული სადაზღვევო დაფარვა და რისკები მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
6	დამატებითი დაფარვები (სადაზღვევო პოლისით ასეთის არსებობის შემთხვევაში)	დამატებითი დაფარვები: 6.1. მესამე პირის წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობით დამდგარი ზიანი; 6.2. მძღოლისა და მგზავრების სიცოცხლესა და ან ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი. შენიშვნა: დამატებითი დაფარვები არ არის საქართველოში მოქმედი სავალდებულო დაზღვევის შემცველი და მზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც აღემატება სავალდებულო დაზღვევიდან მისაღებ ანაზღაურებას, ამასთან დამდგარი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ თანხობრივად პოლისში მითითებული ლიმიტების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დოკუმენტურად დასაბუთებული ზიანისა.
7	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	7.1 დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისთვის სავალდებულოა წერილობითი სადაზღვევო განაცხადის შევსება; 7.2 სადაზღვევო პოლისი გაიცემა დამზღვევის მიერ შევსებული სადაზღვევო განაცხადის, ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის, პირადობის, მართვის მოწმობის და ავტომობილის ფოტოსურათების საფუძველზე; 7.3 ნებისმიერი დაზიანება, რომელიც ავტომობილს აქვს დაზღვევის მომენტში, უნდა დაფიქსირდეს სადაზღვევო განაცხადში, ავტომობილის ფოტოსურათებში; 7.4 სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკურ პირზე სავალდებულოდ გაიცემა საინფორმაციო ფურცელი, ხოლო გაფორმებულ ხელშეკრულებას წინ სავალდებულო წესით უსწრებს ხელშეკრულების თავსართი; 7.5 დაზღვევის ხელშეკრულების დადება

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
7	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	ხორციელდა მზღვეველსა და დამზღვევს შორის მატერიალურად, ან დისტანციურად მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით; 7.6 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შესაბამის ბმულზე დადასტურების გზით, ასევე პლატფორმის Signify მეშვეობით. აღნიშნული წესით გაფორმებულ ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელმოწერას ქაღალდის მატარებელზე ხელით შესრულების შემთხვევაში; 7.7 მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას; 7.8 დაზღვევა შედის ძალაში სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, მზღვეველი არ აანაზღაურებს იმ სადაზღვევო შემთხვევებს, რომლებიც დადგება დამზღვევის მიერ პრემიის პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდამდე, ხოლო, თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე; 7.9 დამზღვევის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევა უნდა შეთანხმდეს მზღვეველთან. თუ დამზღვევმა გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ ყველა ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული ჩაითვლება ბათილად.

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
8	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობები	8.1 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა არაუმეტეს ზიანის ოდენობისა და სადაზღვევო თანხის ფარგლებში, თუ დაცულია შემდეგი პირობები: 8.1.1 ადგილი არ აქვს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევას. 8.2 სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული დამატებითი დაფარვების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა: 8.2.1 თუ ზიანი გამოწვეულია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებისას დაზღვევის (უფლებამოსილი მძღოლის) ბრალეულობით დადადგა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა (მესამე პირის ქონებაზე, სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი) და ამავდროულად CASCO-ს ანაზღაურებაზე მზღვეველს მიღებული აქვს დადებითი გადანყვეტილება; 8.2.2 თუ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაში მსხდომ მძღოლისა და მგზავრების სიცოცხლესა და ან ჯანმრთელობას მიაღდება ზიანი, რაც გამოვლინდება სადაზღვევო პერიოდში დამდგარი შემთხვევის მოხდენიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში.
9	გამონაკლისები	სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ: 9.1.1. მოწოდებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არ შეესაბამება სიმართლეს/არასწორი/არაზუსტი/ყალბი შეცდომაში შემყვანია; 9.1.2 ზარალი/ზიანი არსებობდა დაზღვევამდე ან და შემთხვევამდე; 9.1.3 დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი; 9.1.4 ზიანი არ არის გამოწვეული სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო რისკის ხდომილებით; 9.1.5 შემთხვევა არ არის დამდგარი სადაზღვევო

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
9	გამონაკლისები	პოლისით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში; 9.1.6 არ იქნება გადახდილი პოლისით დადგენილი ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანი (სადაზღვევო პრემია); 9.1.7 სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტი არ არის ამოწურული; 9.1.8 სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მზღვეველთან შეუთანხმებელი დანიშნულებით; 9.1.9 ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა: სასწავლო, სპორტული ან სპეციალური დანიშნულებით, მათ შორის: სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი, კურიერი, ადგილზე მიტანის სერვისი (დელივერი მომსახურება), Test drive; Off road - ში მონაწილეობის მიზნებისთვის - მზღვეველისთვის წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის პოლისში ამგვარი მითითების გარეშე. 9.1.10 არ დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი ადგილი და დრო, არ არსებობს ზიანის გამომწვევი მიზეზის დამადასტურებელი კვალი (ნამსხვრევები, ჩამონაყარი, საგანი და სხვა); 9.1.11. ადგილი აქვს მძღოლის მხრიდან განხზრახ დაზიანებას, უხეშ გაუფრთხილებლობას. უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვლება ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მათ შორის და არა მხოლოდ უფლებამოსილი მძღოლის ბრალეული ქმედებით და ასეთ ქმედებას არ აქვს ობიექტური გამამართლებელი გარემოება. მაგალითად: ავტომობილის მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებას, წითელზე გავლას, საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილებას, „დაუთმე გზა“ ნიშნის უგულებელყოფას, ავტომანქანის ტექნიკურ გაუმართაობას;

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
9	გამონაკლისები	9.1.12 ავტოსაგზაო შემთხვევის რისკის ხდომილებისას, სატრანსპორტო საშუალება არ იყო ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში; 9.1.13 ავტოტრანსპორტის დაზიანება არ არის გამოწვეული გარეგანი ზემოქმედების შედეგად; მძღოლმა მიატოვა შემთხვევის ადგილი, დაძრა ან გადაადგილა ავტომანქანა მზღვევლის თანხმობის გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს საპატრულო პოლიცია; 9.1.14 მძღოლმა არ გამოიძახა შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია (გარდა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის პატრულის ოქმის გარეშე დარეგულირების წესის მოქმედებისას); 9.1.15 მძღოლმა დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს შემთხვევის თაობაზე, გარდა ანასხლეტი კენჭით საქარე მინის დაზიანებისა ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დაასრულოს მოძრაობა და პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მზღვეველს ფაქტი; 9.1.16 დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაზე დამდგარი ზიანი, თუ ეს ზიანი გამოწვეულია სადაზღვევო რისკით, მაგრამ დამზღვევს/დაზღვეულს ამ შემთხვევის დადგომის შედეგად არ მიუღია დამატებითი ფინანსური ზარალი; 9.1.17 ავტოტრანსპორტის ორმოზე და/ან ნები სმიერ საგანზე გადავლის შედეგად სავალი ნაწილების დაზიანება (საბურავები, დისკები, კარტერი, სამუხრუჭე ხუნდები და ა.შ) 9.1.18 ადგილი აქვს: ომით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო მღელვარებით, საბოტაჟით, გაფიცვით, მანიფესტაციით, ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით; 9.1.19 ზარალი დადგა დაზღვეული ავტოტრან-

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
9	გამონაკლისები	სპორტის სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე ყოფნის დროს, სადაც შეზღუდულია ან აკრძალულია ავტოტრანსპორტით გადაადგილება, მათ შორის, აეროდრომზე, აეროპორტში ან აეროდრომის იმ მონაკვეთზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის; 9.1.20 შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს; 9.1.21 არასაავტომობილო გზაზე დამდგარი ზიანი; 9.1.22 ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში, ადგილი ჰქონდა სრული სადაზღვევო ანაზაურების მიღების მცდელობას; 9.1.23 დაზღვეული ავტომობილის შიდა (არაგარეგანი) დაზიანება ცხოველების მწერების, ფრინველების ან ქვეწარმავლებისგან; 9.1.24 თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს ენიჭება უფლებამოსილება, უარი თქვას სადაზღვევო ანაზაურებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი); 9.1.25 დამზღვევის მიერ არ არის სრულად და ჯეროვნად შესრულებული ამავე პირობებით დადგენილი ვალდებულებები. 9.2. ზარალის ოდენობაში არ შევა: 9.2.1 ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული ჯარიმა, მათ შორის პარკირების წესების დარღვევით, ასევე საჯარიმო სადგომზე დგომა/ გადაყვანის ხარჯები, მათ შორის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ევაკუირებისას მიყენებული ზიანის კომპენსაცია; 9.2.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ შეკეთების ხარჯები;

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
9	გამონაკლისები	9.2.3. ბუნებრივი ცვეთა, ჟანგი, კოროზია, ამორტიზაცია, გაუფასურება ან/და ისეთი შეკეთება, რომელიც აუმჯობესებს ავტოტრანსპორტის ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობას; 9.2.3. მორალური ზიანი, მიუღებელი შემოსავლის სახით განცდილი ზიანი.
10	სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშების წესი	10.1.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმას განსაზღვრავს მზღვეველი - ფულადი, ქონებრივი ან მომსახურების სახით. 10.1.2 ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში, მზღვეველის გადანაცვლებით, შესაძლებელია მოხდეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის ჩანაცვლება ანალოგიური მოდელის, წლოვანების და ტექნიკური მდგომარეობის ავტოტრანსპორტით, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ, მზღვეველი საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე პირობების თანახმად იძენს საკუთრების უფლებას განადგურებულ ან გატაცებულ ავტოტრანსპორტზე. ავტოტრანსპორტის მზღვეველისთვის გადაცემა უნდა მოხდეს დამზღვევის მიერ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში აღრიცხვიდან მოხსნის გზით. აღრიცხვიდან მოხსნისა და გადაფორმების ხარჯებს ფარავს დამზღვევი. 10.2 დამატებითი დაფარვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმას განსაზღვრავს მზღვეველი შემდეგნაირად: 10.2.1 დაზიანებული ქონების აღდგენითი ან ჩანაცვლებითი ღირებულება; 10.2.2 დაზარალებული პირის სამკურნალო თანხები; 10.2.3 მუდმივი შრომისუნარობისა და ან გარდაცვალების შემთხვევაში დოკუმენტურად დადას-

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
10	სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშების წესი	ტურებული ბოლო 5 (ხუთი) წლის შემოსავლის ჯამური ოდენობა - მაგრამ არაუმეტეს პოლისში მითითებული ლიმიტისა. ამავდროულად ერთი შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირის დაზარალებისას, როდესაც ზარალის ოდენობა აჭარბებს პოლისში მითითებულ მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს, ანაზღაურება თითოეულ პირზე გაიცემა, საერთო ზარალში მისი წილი ზარალის პროპორციულად. 10.3 სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშება მოხდება, პოლისით დადგენილი მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს რეალური ზარალის ოდენობისა, პროპორციული დაზღვევის მეთოდის გამოყენების, ფრანშიზისა და ასევე გადასახდელი პრემიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლების გათვალისწინებით; 10.4 სადაზღვევო ანაზღაურებაში გათვალისწინებული იქნება ევაკუატორის მომსახურების ხარჯი, პოლისით ამგვარი პირობის გათვალისწინების შემთხვევაში ამავე პოლისით დადგენილი ჯერადობისა და ლიმიტის ფარგლებში და იმავდროულად თუ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებას გადაადგილება დამოუკიდებლად არ შეუძლია. იმ შემთხვევაშიც კი თუ დაზღვევის არეალად საქართველოს გარდა მითითებულია სხვა ქვეყნებიც, დაზიანებული ავტომანქანის გადაადგილების ხარჯი იფარება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით; 10.5 მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ უახლოეს შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯებს, ერთჯერადად ერთი სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში; 10.6 დაზღვეული საშუალების ისეთი დაზიანების დროს, როდესაც ადგილი აქვს სადაზღვევო

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
10	სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშების წესი	შემთხვევას, მაგრამ როდესაც სახეზეა არა ერთი, არამედ რამდენიმე დაზიანება, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაზიანებული ადგილების დაშორება / მოხდენის ადგილი / დაზიანებ(ებ)ის ხარისხი და სხვა გარემოებები გამორიცხავს ამ დაზიანებ(ებ)ის ერთი და იგივე რისკის შესაძლო ხდომილების შედეგად დაზიანებას, მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ ერთი უფრო მცირე დაზიანების ფაქტს. 10.7 ანაზღაურების მიმღებ პირად ითვლება დამზღვევი, მაგრამ იმ პირობით თუ დამდგარი ზიანის პირობებში დამზღვევმა განიცადა ფინანსური ზარალი და დასტურდება დაზღვევის ობიექტის მიმართ მისი ფინანსური ინტერესი. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, ხოლო ასეთი პოლისი ექვემდებარება გაუქმებას.
11	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი	11.1 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მას შემდეგ რაც მოხდება: 11.1.1 სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენა; 11.1.2 ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრა; 11.1.3 შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად დაკვალიფიცირება; 11.1.4 დადგინდება, რომ დამზღვევს არ ერიცხება სადაზღვევო პრემიის დავალიანება. 11.2 მას შემდეგ რაც წინამდებარე ხელშეკრულების- 11.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობები შესრულდება, მზღვეველი სრულად მიღებული დოკუმენტაციის შემდგომ მაქსიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში აუნაზღაურებს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებულ ზარალს; 11.3 მზღვეველი უფლებას ითვებს, გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადა-

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
11	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი	წყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლება-მოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	12.1 დამზღვევი ვალდებულია: 12.1.1 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადაში; 12.1.2 ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში აცნობოს მზღვეველს დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით და შესაბამის წერილობით შეტყობილებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. 12.1.3 დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ იქნება დაზღვევის გაუქმების საფუძველი. 12.1.4 როგორც პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს რისკის ხარისხის შეფასებაზე/შემდგომ ცვლილებაზე; 12.1.5 გადაიხადოს პირგასამტეხლო მზღვეველის მიერ დადგენილ ვადებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. 12.2 შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევი ვალდებულია: 12.2.1 შემთხვევის მოხდენისთანავე დაუყოვნებლივ დატოვოს შეტყობინება მზღვეველის ცხელ ხაზზე - 032 2 991 991, გარდა ანასხლეთი კენჭით საქარე მინის დაზიანებისა, ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დაასრულოს მოძრაობა და პირველივე შესაძლებლობის თანავე შეატყობინოს მზღვეველს ფაქტი.

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	აღნიშნული ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს და მზღვეველი უფლებამოსილია მოქმედება დაიწყოს მხოლოდ დამზღვევიზგან წერილობითი განაცხადის მიღების შემდეგ; 12.2.2 შემთხვევის მოხდენისთანავე (გარდა ანასხლეთი კენჭით საქარე მინის დაზიანებისა), დაუყოვნებლივ აცნობოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს - 112; 12.2.3 მზღვეველის თანხმობის გარეშე არ გადაადგილოს ავტოტრანსპორტი შემთხვევის მოხდენის ადგილიდან, თუ ამგვარ მოქმედებას არ მოითხოვს საპატრულო პოლიცია; 12.2.4 მზღვეველთან შეთანხმების გარეშე არ დაიწყოს ავტოტრანსპორტის შეკეთება; 12.2.5 შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა გააკეთოს წერილობითი განაცხადი შემთხვევის თაობაზე, დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა მოახდენდა თუ არა აღნიშნულ ვადებში წერილობითი განაცხადის გაკეთება, შემთხვევის შეფასებასა და დაკავშირებული გარემოებების კვლევაზე, ზიანის ოდენობაზე გავლენას, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ზარალის ანაზღაურებაზე; 12.2.6 შეატყობინოს მზღვეველს ექსპლუატაციის, გამოყენების პირობების, მესაკუთრის ან ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ცვლილებების თაობაზე; 12.2.7 დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში (განაცხადში) მითითებულ მისამართებში (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, ფაქსი, E-Mail) ცვლილებების შესახებ. ამასთან აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, დამზღვევი ვერ მიუთითებს შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების შეცვლის ფაქტზე და მას შეტყობინება ჩაითვლება

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	მიღებულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა შედეგით; 12.2.8 შემთხვევის გაცხადების შემდგომ, დართოს ნება მზღვეველს მოახდინოს ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალური რეპორტის (CDR) ამოღება/ინფორმაციის მიღება დაზღვეული ავტომანქანიდან, რის საფუძველზეც მოხდება მზღვეველის მიერ გადანყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თანხმობის გაუცემლობის შემთხვევაში ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება; 12.2.9 თავისი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენახვა იმ დრომდე, სანამ მზღვეველი არ მიიღებს გადანყვეტილებას ანაზღაურების თაობაზე; 12.2.10 სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ, აუცილებლად შეაკეთოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო შეცვლილი დაზიანებული ავტონაწილები, ან სრული განადგურების შემდეგად გადარჩენილი ქონება გადასცეს მზღვეველს საკუთრებაში. გადაფორმების ხარჯებს დაფარავს დამზღვევი; 12.2.11 რეგრესული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების რეალიზებაში. 12.3 დამზვევი ვალდებულია შემთხვევის დადგომის შემდეგ წარადგინოს მზღვეველთან წარმოადგინოს მზღვეველთან: 12.3.1 წერილობითი განაცხადი შემთხვევის მოხდენის თაობაზე; 12.3.2 ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა; 12.3.3 უფლებამოსილი მძღოლის მართვის მოწმობა; 12.3.4 საბანკო რეკვიზიტები; 12.3.5 დამატებითი დაფარვების შემთხვევაში, კალკულაცია; სამედიცინო ფორმა № 100;

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	12.3.6 დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხოვნილი, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების (მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მეტეოროლოგიური სამსახური) მიერ გაცემული ცნობები, დასკვნები და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები; 12.3.7 მის ხელთ არსებული ან/და მზღვევლის მიერ მოთხოვნილი ყველა შესაძლო ინფორმაცია, მტკიცებულებები, რომელიც დაკავშირებულია ავტოსაგზაო შემთხვევასთან; 12.3.8 კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ცნობა მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ცნობა (ალკოტესტი / ექსპერტიზის დასკვნა). შენიშვნა: დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე და მოსარგებლეზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 12.4 მზღვეველი უფლებამოსილია: 12.4.1 დამდგარი შემთხვევების სიხშირიდან ან შემთხვევის გამომწვევი მიზეზ(ებ)იდან გამომდინარე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში განმეორებით იმსჯელოს რისკის ხარისხზე და მოითხოვოს პრემიის გაზრდა და ან შეწყვიტოს პოლისის მოქმედება; ამავდროულად თუ მზღვეველის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნება პრემიის გაზრდა და დამზღვევი ამგვარი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში არ დაეთანხმება შეთავაზებას, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს პოლისის მოქმედება ამ პირობებით დადგენილი წესით; 12.4.2 ზარალი აანაზღაუროს წინამდებარე პირობებით განმარტებული, პროპორციული მეთოდით ანაზღაურების პრინციპის გამოყენებით, ფრანშიზის (პოლისში ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადასახდელი სადაზღვევო პრემიის

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	გამოკლებით იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისში სადაზღვევო თანხად განსაზღვრულია დაზღვევის ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს იმ პროპორციით რა პროპორციაც იარსებებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისა თვის, სადაზღვევო თანხასა და ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას შორის; 12.4.3 დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების, სრული განადგურებისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში: ა6 სადაზღვევო ანაზღაურებაზე გადარჩენილი ქონების ღირებულების გამოკლებით, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა, ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა ა6 გადარჩენილი ქონების ღირებულების გამოკლების გარეშე; სადაზღვევო ანაზღაურების შემდგომ, ზიანის ტიპის მიუხედავად (იქნება ეს სრული განადგურება თუ ნაწილობრივი ზიანი) მოსთხოვოს დამზღვევს საკუთრების უფლების გადაცემა დაზიანებულ ქონებაზე; 12.4.4 სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის პირველივე დარღვევისას (იგულისხმება სადაზღვევო შენატანის არასრული ოდენობაც) არ აანაზღაუროს გრაფიკის დარღვევიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, დამზღვევის მხრიდან ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი შემთხვევები მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას არ

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	დაექვემდებარება. თუ დამზღვევი/დაზღვეული 30 (ოცდაათი) დღის ვადაში არ დაფარავს გრაფიკით გადასახდელ პრემიას, მაშინ, ამ ვადის გასვლის შემდგომ მზღვეველი, უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის დავალიანების გადახდა. 12.4.5. დამზღვევის მიერ შეტყობინების ვადების (სატელეფონო შეტყობინება, განაცხადის წარდგენა) დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. დამზღვევის მხრიდან დაგვიანებული შეტყობინება კრიტიკულად აისახება მზღვეველის ინტერესებზე შემდეგი გარემოებების გამო: • მტკიცებულებათა მოპოვება შეუძლებელი ხდება; • მზღვეველს არ ეძლევა საშუალება ადგილზე შეაფასოს დაზიანებული ან დაკარგული ქონება, შეაგროვოს ფოტომასალა, ჩაატაროს ექსპერტიზა და მოიპოვოს სხვა აუცილებელი მტკიცებულებები; • სუბროგაციის კანონით/ხელშეკრულებით მზღვეველისთვის მინიჭებული უფლება იზღუდება; • მზღვეველს ერთმევა შესაძლებლობა დროულად მიიღოს ზომები დაზღვევის საგნის გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად; მზღვეველი ვერ ახდენს ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების იდენტიფიცირებას; 12.5 შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია: 12.5.1 დაათვალიეროს ავტოტრანსპორტი; 12.5.2 ჩაატაროს ექსპერტიზა; 12.5.3 ავტოტრანსპორტის დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
12	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	აღდგენას; 12.5.4 შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე; 12.5.5 სადაზღვევო რისკების დადგომით გამოწვეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადანყვეტილების მიღება სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე.
13	სუბროგაციის წესი	თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზარალის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.
14	ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის (მოშლის) პირობები	14.1 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც დამზღვევის ასევე მზღვეველის ინიციატივით 14.2 დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მიმართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ არის დაზღვევის გაუქმების საფუძველი; 14.3. მზღვეველის ინიციატივით დაზღვევა შეიძლება შეწყდეს პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე (იგულისხმება)

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
14	ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის (მოშლის) პირობები	სხმება წინამდებარე ხელშეკრულების 12.4.4. მუხლი). 12.4.5. მზღვეველის ინიციატივით, ერთ თვიანი ვადის დაცვით, თუ ერთგვაროვანი სადაზღვევო შემთხვევების სიმრავლე მნიშვნელოვნად ზღუდავს სადაზღვევო რისკების მართვას. 14.3 მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად დაუყონებლივ შეწყვიტოს დაზღვევა თუ: 14.3.1 დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის მიერ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში შეყვანა/მცდელობა;
15	პირგასამტეხლო/ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები	15.1 სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის ჯამური ოდენობისა; 15.2. მზღვეველის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას: 15.2.1. დამზღვევი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია; თუ კი დამზღვევის მხრიდან გამომუშავებული პრემია დაზღვევის შეწყვეტის მომენტში უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ბრუნდება მხოლოდ გამომუშავებული პრემია. 15.2.2. თუ პოლისზე ანაზღაურებულია ზარალი, მაშინ დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად. თუ კი დამზღვევის მხრიდან სრული სადაზღვევო პრემია უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
15	პირგასამტეხლო/ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები	თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. 15.3. დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას: 15.3.1. დამზღვევი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია; თუ კი დამზღვევის მხრიდან გამომუშავებული პრემია დაზღვევის შეწყვეტის მომენტში უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. 15.3.2 მზღვეველი უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვს დამზღვევს სრული სადაზღვევო პრემიის 10%-ის გადახდა; 15.3.3. თუ პოლისზე ანაზღაურებულია ზარალი, მაშინ დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად. თუ კი დამზღვევის მხრიდან სრული სადაზღვევო პრემია უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
16	სადაზღვევო პრემია და გადახდის პირობები	სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
17	დავების გადაწყვეტის წესი	ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
18	კომუნიკაცია მხარეთა შორის	18.1 მზღვეველის მიერ დამზღვევს (დაზღვეულს/უფლებამოსილ მძღოლს) შეტყობინება მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით, ელფოსტის, ან საფოტო გზავნილის მეშვეობით, ან/და

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
18	კომუნიკაცია მხარეთა შორის	განაცხადში/სადაზღვევო პოლისში დამზღვევის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე, ადგილსამყოფელზე. ამასთან, მზღვეველი პასუხისმგებელი არაა, თუ მითითებული რეკვიზიტი არასწორია ან შეიცვალა და მას არ ეცნობა, რის გამოც შეტყობინება ვერ ან ან არადანიშნულებისამებრ გაიგზავნა. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გაგზავნის მომენტიდან; 18.2 იმ შემთხვევაში, მზღვეველის მიერ დამზღვევს შეტყობინება გაიგზავნა დაზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულისაგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება დამზღვევის/დაზღვეული მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ; 18.3 მზღვეველის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ბეჭდით დამოწმებული და გაცემული სადაზღვევო პოლისი ორიგინალის ტოლფასია, ასევე დამზღვევის მიერ მზღვეველთან ელექტრონული კომუნიკაციით განხორციელებული თანხმობა დაზღვევის პირობებზე დამზღვევის ხელმოწერის ტოლფასია. სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მოხდეს მატერიალურად წერილობითი ფორმით, ამასთანავე მზღვეველის unison.ge-თ დასრულებულ ნებისმიერ კორპორატიულ მეილზე - დასტური ხელმოწერის ტოლფასია.
19	პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	19.1. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

N	დასახელება	ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
19	პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	19.2. დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაოს დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მოცულობით, ხელშეკრულების მიზნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს მესამე პირებს. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია დაამუშაოს დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსი მძღოლის პერსონალური მონაცემები მარკეტინგული მიზნებისათვის, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის. 19.3. მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის, დაზღვეულის ან პოლისით გათვალისწინებული უფლებამოსილი მძღოლის მხრიდან დამატებითი თანხმობის გარეშე, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს და მიიღოს მათზე ინფორმაცია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისა და/ან სისხლის სამართლის საქმეების შესახებ - დაზღვევის მიზნებისთვის საჭირო ოდენობითა და მოცულობით. 19.4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მზღვეველისაგან მის შესახებ მონაცემთა გამოყენების შეწყვეტა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება აღნიშნული კომუნიკაცია - წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.
20	დასკვნითი დებულებები	20.1 პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია მზღვეველის შემდეგ ელ-ფოსტაზე:

N	დასახელება	ავტორანსპორტის დაზღვევის პირობები
20	დასკვნითი დებულებები	complaints@unison.ge ან მზღვეველის ცხელ ხაზზე შეტყობინების დატოვების გზით 0 32 2 991 991; 20.2 წინამდებარე პირობებში ნებისმიერი ცვლილება/დამატება გათვალისწინებულია (დაზუსტებულია) სადაზღვევო პოლისში ან მხარეთა შორის გაფორმებულ შესაბამის შეთანხმებაში. მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვება ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;